თეატრი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი.

20 აპრილს | გამოცემა № 16 | კვირაობით | 1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა გვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

შერცხვენილი ოჯახი

(მოთხრობა)

I

— „მერე, კიდევ უნდა ვსთქვა, რომ ამისი მამაც მამა არის“! ასე ფიქრობდა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, რომელიც ანიშნებდა მიტრიაზედ რომელიც ჩამომჯდარიყო ეზოში მაღალი ფურცლის ქვეშ კუნძზედ და მისცემოდა რაღაც გამოურკვეველ ფიქრებსა. მიტრია, დიდხანს იყო ასე ჩაფიქრებული; ბევრმა იქავე შარა-გზაზედ გამლელ-გამომლელმა გადაძახეს «გამარჯობა», მაგრამ მიტრიას სრულებითაც არა ესმოდა რა და კვალათა ფიქრობდა იმ საზარელ ფიქრებს, რომელთაც თავის ოცდაორი წლის სიცოცხლეში, მხოლოდ ეხლა გაჰლვიძებოდენ და მხოლოდ ეხლა არეოდენ თავში.

— „ის რომ კეთილი მამა ყოფილიყო, განა ასე დაღუპავდა, განა ასე გასწორებდა მთელ ოჯახს მიწასთანა!.. არა, რომელი მამა იზამდა, რომ ოჯახის შერცხვენასთან, ასე თავს ლაფ-დასხმულს ატარებდეს თავის ცოლ-შვილსა?“

მიტრია ოცდა ორი წლის ახალგაზდა ყმაწვილი კაცი იყო; იმისი მოწითური პირის სახე, დიდრონი და სიცოცხლით სავსე გამომეტყველ თვალებს, ნათლად შეატყობდით გულის მოვარჯიშე და მხნეობით სავსე ყმაწვილ კაცობასა. მიტრია საქმის მოსიყვარულე იყო. იმ თავის მამისაგან დაცემულ ოჯახს, როგორც თითონაც ამობდა ხოლმე, ეხლა თითონ უელიდა და რაც კი შეეძლო, რამდენათაც კი ნებას აძლევდა თავის თავ-განწირული ახალგაზდობა, დღითი დღე ფეხზედ აყენებდა ოჯახსა. მიტრია უმისოთაც განთქმული იყო მუშაობაშია და რასაკურველია, ამ გვარი, ჯერ კიდევ სრულებით ყმაწვილ-კაცი, ყველასთვის საყვარელი, ყველასთვის საუკეთესო მეგობარი უნდა ყოფილიყო, რომ მამის იმ ცუდ სახელს, როგორც ოჯახისათვის, ისე განსაკუთრებით მიტრიას ყმაწვილ კაცობისათვის არ მოეცხო ერთი იმ აღმოუშლელ ჭუჭყთაგანი, რომელიც კაცის სიცოცხლეში ძნელათ თუ ამოიშლება!

აი ეს იყო მიზეზი, მიტრიას, ასე მწარეთ და ნაღელიანი ჩაფიქრებისა. მიტრია, რომელიც აქამდისინ მთელი ახალ-გაზდობის საყვარელი ამხანაგი იყო, რომლის მხნეობასთან მრავალ გვარი გამამხიარულებელი სიმღერა, ლაზათიანათ აზმაურებდა ხოლმე სოფელს, როდესაც ის რომელსამე მუშის გუნდში ჩარეული, მოდიოდა საღამოთი მინდვრიდგან, ეხლა სულ სხვა გვარად შეიცვალა. იმისი კულავ მოცინარე პირი, ისე აღარ გაუღიმებდა ხოლმე რომელსამე შეხვედრილ მეგობარსა; სიმხნევემ და ვარჯიშობამ, რამდენიც დრო გადიოდა იმდენი რაღაც უჩინარი

მანქანების ძალით უკლო; დიდრონი და ყოველთვის ალერსით გამომეტყველი თვალები, ეხლა რაღაც გაუგებარ მწუხარებას უხატავდენ მნახველსა. მიტრია, რომელიც ყოველთვისინ მხიარული, სიამოვნებით გაერეოდა ხოლმე ხალხის გუნდში, თავ-მოყრილი ახალგაზდობასთან სიამოვნებით დამღეროდა თავის საყვარელ „არა ლალო, იარიალალოს“ და საამურათ ახმაურებდა სოფლის მიყრუებულ გზებსა, ეხლა კიდეც ერიდებოდა ხალხსა; ჩამომჯდარი რომელსამე ხის ქვეშ, გაჰყურებდა სიცოცხლით სავსე სოფელსა და თითონ კი, მიცემული მწარე და გულის მომწამლავ სევდებს, ფიქრობდა ყოველთვისინ დიდხნობამდე. ერთი სიტყვით, მიტრია ის აღარ იყო, რაც აქამდისინ! მიტრია სრულებით გამოიცვალა, იმის გულში მხიარულების ადგილი დაიჭირა სევდამ და ეხლა მხოლოდ ამ კაცის მომნებელ სენს მოეცვა იმისი თუ ფიქრი, თუ სიმხიარულე, თუ სიმარჯვე და ვარჯიშობა!

მიტრიას მამისაგან თავის ოჯახის ასე დაღუპვა, ცოლ-შვილის ასე შეუბრალებლათ გაუბედურება, ყველას ენანებოდათ გულში, თუმცა კი საქმით ვერასა შველოდენ. ყოველი მეზობელი გაკვირვებული იყო, მიტრიას მამის ამ საქციელით, მაგრამ რას იზავდენ, როგორ აღუდგებოდენ წინა... ზოგჯერ თავისი მეგობრებიც, როდესაც ერთათ შეიყრებოდენ სადმე ვენახში სათოხნელად, სინანულის გამომეტყველებით ეუბნებოდენ ხოლმე მიტრიასა: „ჰეი, ბეჩავ! ერთხელ თქვენი ოჯახი კი არიყო, ბიჭო, გაძრიელებული!“ ამ გვარი სიტყვები ძრიელ ცუდ გაელენას ახდენდა ისეთაც დატანჯულ მიტრიას გულზედა; სახე მაშინათვე უფითრდებოდა საცოდავათ, ნაღვლით სავსე თვალები მაშინათვე დაეშვებოდენ მიწაზედ და ბრაზ მორეული, სევდა აღშფოთებული, ისე რიგათ დაუწყებდა თოხს ცემას, კაცს ეგონებოდა მიწას ებრძვის, ებრძვის, რომ გადმოაბრუნოს თოხით და შიგ ჩაანთხიოს თავის სევდა მწუხარებაო!

II

სოფელი მ—ი დღესაც ერთ იმ გვარ სოფელს წარმოადგენს აღმოსავლეთ ქახეთში, სადაც ჯერ კიდევ ძველის-ძველია და ახალი ანუ უკეთ რომ ვსთქვათ „გაუმჯობესობა“, სრულებით არ მიჰკარებია. იმისი ოღრო-ჩოღრო და ტურფა გზები, დღესაც ერთსა და იგივე მდგმოიარეობაში არიან, როგორც დასაბამიდგანვე უნდა წარმომდგარიყოს იგი. არც მცხოვრებნი არიან ისე მომეტებულნი, მაგრამ რაიცა სცხოვრობენ, ისინიც თავიანთის ერთგვარ და შეუცვლელ ცხოვრებით, საყურადღებოს არას წარმოადგენენ მნახველთათვის. მინდორი და ტყე არა აქვთ ურიგო, ალაზნის ნაპირზედ დაცემული ველი, დღესაც მშვენიერ ნაყოფს აძლევს იმათ, რომელნიც კი ხელსა სძრავენ და ამუშავებენ მიწასა. აი ამიტომაც არის, რომ ამ პატარა სოფელში არა ერთი და ორი კაცი მოიპოვება «აშენებული ოჯახიშვილი», არა ერთსა და ორსა ჰყავს საკმაოთ თუ ძროხა, თუ ცხვარი, თუ ღორი, რომლითაც ყველგან და ჩვენშიაც, გლეხ-კაცობა ამითი ითვლებიან, „შემძლებელ ოჯახიშვილებათა“.

არ არის კარგა ხანი მას აქეთ რაც ნოდარ ანაშვილიც ერთ ამ გვარ ოჯახიშვილათ ითვლებოდა მთელს სოფელში. მათი ძროხა, ცხვარი და პურით სავსე ორმოები, დიდ სახელსა სძენდენ და მთელს ახლომახლო სოფლებშიაც კი ნოდარ ანაშვილი გამოჩინებულ ოჯახიშვილათ ითვლებოდა; ამ გვარის ყოფაცხოვრებით, ნოდარი ყველგან დიდ-პატივის ცემით იყო მიღებული, ყველა ცდილობდა იმის დამეგობრებას, იმის ნათელ მირნობასა, რომ არ გასწყრომოდა ღმერთი, როგორც ამობენ გლეხები, და ერთს არა ჩვეულებრივ შემთხვევით იგი არ დამცირებულიყო ხალხში, არ მოჰღებოდა ბოლო იმის აქამომდე განთქმულ ოჯახიშვილობასა.

ნოდარ ანაშვილი შეიქმნა გმირი სიყვარულისა! იმას შეუყვარდა თავისი ერთი ღარიბი მეზობლის ცოლი და შემდეგშიაც მას ანაცვალა: ცოლი, შვილი და თავის გაძრიელებული ოჯახიცა. მაკრინე, რომელმაც ასე მოხიბლა ნოდარის გული, ღარიბი კაცის ცოლი იყო; იმისი მაღალი და წამოსადეგი ტანი, თეთრ წითელი სახე და ყოველთვისინ მოცინარე ტუჩები, რასაკურველია ადვილათ მოინადირებდენ ყოველი კაცის გულსა! სიარულის დროს ტანის ნაზათ რხევა და შავი გამომეტყველი თვალები, ძრიელ ამშვენებდენ, მაკრინეს ისეთაც საუცხოო შეხედულებასა, ერთი სიტყვით, მაკრინე ოცდა სამი წლის სოფლის ლამაზი ქალი იყო!

ასეთი იყო მაკრინე ამ ათი თხუთმეტი წლის წინათ, როდესაც სრულებით მოინადირა ნოდარ ანაშვილის გული და გახადა თაყვანის მცემელი მონა თავის სიმშვენიერისა. მაკრინეს ყოველი სურვილი, შემდეგ ნოდარისათვის დაურღვეველს წესიერებათ გარდაიქცა.

ამ დროს ჯერ კიდევ ნოდარის ოჯახი დუღდა-გადმოდიოდა, როგორც ეხლაც ამობენ იმისი მეზობლები. თითონაც ადრე იყო დაბინავებული და თავის კანონიერი ცოლისაგან მიცემული მიტრია, მაშინ ექვსი-შვიდი წლის ბიჭი იყო. ამ გვარს ყოფაცხოვრებას ბევრი უშლიდა, ბევრი არცხვენდა ნოდარ-

სა, მაგრამ, ის მაინც თავისას არ იშლიდა და რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი უფრო ღრმათ იდგამდა ფესვებს იმის გულში მაკრინესაგან ჩანთხეული სიყვარული. წინეთ მაკრინეს ღარიბი სახლი, თანდა-თან შემძლებელ ოჯახათა ხდებოდა; მაგრამ, ამავე დროს ნოდარის განთქმული ოჯახი დრო გამოშვებით ეცემოდა, სწორდებოდა მიწასთანა, ერთი სიტყვით, მაკრინეს ოჯახი გარდაიქცა ნოდარის განთქმულ და სახელოვან ოჯახათა! მაკრინეს ეზოში დღეს უხვათ დაინახავთ ძროხას, ცხვარს, ღორს, როდესაც წინეთ იმის ბედობაზედ მხოლოდ რამდენიმე ქათამი თუ მოიპოვებოდა. ყოველ ზაფხულობით, საკმაო «ფთამოქცეული» ილეწება მაკრინესაგან შეძენილს კალოზედ და ახალი მოჭრილი ორმოები ხომ უხვათ ევსება ლამაზი პურის ზვავითა...

ამასობაში დრო ჩვეულებისამებრ გადიოდა; მიტრია თან-დი-თან ვაჟკაცდებოდა; ადრე გაძრიელებული ოჯახი, მამის წყალობით, დღეს თუმცა მიწასთან იყო გასწორებული, მაგრამ მიტრია როგორც არის აცხოვრებდა თავის საბრალო დედასა.. აი ეს იყო მიზეზი, რომ რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი ცხადათა ჰხედავდა მიტრია თავის მამის მოქმედებასა და უფრო უვრცელდებოდა ჯერ კიდევ ახალგაზდა გულში ბოღმა სევდები, იმდენათ ეძლეოდა მწარე ფიქრებსა და აღარ იცოდა რა ღონის ძიებით დაებრუნებინა ერთხელ დაკარგული სახელი ოჯახიშვილისა, რა ღონის ძიებით ამოეშალა ის შემარცხვენელი ჭუჭყი, რომელიც ასე ბლომათ იყო მოცხობილი მამა მისისაგან

გედის-ციხელი.

(შემდეგი იქნება)

ახალი ამბები

სასტიკი თავის მკვლელობა აღდგომა დღეს

◆ ერთ ზასტავის ჩინოვნიკს მიულოცეს თურმე თავის მეგობრებმა აღდგომა და, ჩვეულებისამებრ, სადილათაც იმასთანვე დარჩენილიყვნენ. როდესაც კარგათ შესულან სმაში, ამ დროს ორ სტუმარს ერთმანეთში მოსვლიათ ჩხუბი. ეს არმოსწონებია მხიარულ მასპინძელსა და უთხოვნია სტუმრებისათვის რომ დამშვიდებულიყვნენ, რადგანაც ბედნიერ დღეს და ისიც უცხო ოჯახშვილში, ასე უშვერის სიტყვებით ერთმანეთის მოხსენიება პატიოსნების წინააღმდეგიაო. ამ თხოვნამ ვერა უშველარა საბრალო მასპინძელსა და მოჩხუბართ მაინც განეგძოთ შფოთი. მეორეთ თხოვნის შემდეგ, გავარდა თურმე მასპინძელი თავის ოთახში და წამოაველო რევოლვერს ხელი, ამ სიტყვებით: „მე დღეს, როგორც ბედნიერ დღესა, მხიარულება მინდა და ეგენი თავიანთ უპატიოსნებით მაშხამებენო“! დააპირა თუ არა რევოლვერის სროლა, ამ დროს შეამჩნიეს დანარჩენ სტუმრებმა და წაართვეს ხელიდგან რევოლვერი, მაგრამ, ამითი ახირებულ მასპინძელს მაინც თავისი არ დაეშალნა და იქვე კედლიდგან ჩამოეგლიჯა ხანჯალი და დაეკრა გულში...

ახირებულია, თქვენმა მზემ, სტუმრების ჯიუტობას, კაცმა თავისი თავი ამსხვერპლოს!

◆ ამ მოკლეს ხანში თბილისში შემდეგი წიგნები გამოვიდა: 1) მებადური, პოემა პუშკინისა, თარგმანი ლექსად, რ. ერისთავისაგან. ფასი 5 კაპ. 2) ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი. ბიოგრაფიული მიმოხილვა ზ. მთაწმინდელისა ფასი 20 კ.

◆ ამ ჟამად თბილისის სტამბებში შემდეგი წიგნები იბეჭდებაო: 1) სიმშობლო ენის შესასწავლებლად, შედგენილი ს. ნათაძისაგან. 2) არიფმეტიკული ამოცანები. რ. ჯაჯანაშვილისა. 3) ქუდ-ბედიანი, საყმაწვილო მოთხრობა ეკ. ასათიანისა.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ ამას წინეთ ერთ ყმაწვილ კაცს ერცელი მოხსენება წარუდგენია «წერაკითხვის სამართველოში», რომ საზოგადოებამ თავის ხარჯით გამოსცეს იეფად და სახალხოდ ჩვენი უკვდავი შოთა რუსთველის „ვეფხის ტყაოსანი“. ამას წინეთ როგორც «ივერიაში» იყო მოხსენებული საზოგადოების უმეტესის ხმის რჩევით ხსენებული მოხსენება უკვე შეუწყნარებიათ და «ვეფხვის ტყაოსანის» გამოცემაც გადუწყვეტიათ. იმედია, რომ ეს გამოცემა მალე გამოვა, რომელსაც არა უმეტეს 40 კაპ. დაუნიშვნენ და მით დაკმაყოფილებენ ერთათ ერთ მოთხოვნილებას ქართველ დაბალ ხალხისასა.

◆ ესევე საზოგადოება ბეჭდავს თავის ხარჯით „რობინზონ კრუზოს“ სურათებით და მალეც გამოვაო. წიგნში 20 სურათზედ მეტი იქნება ჩართულიო.

◆ წასრულ კვირას თბილისის სათავად აზნაურო სკოლის მოწაფეებმა სალიტერატურო საღამო გამართეს და უნდა ვსთქვათ, რომ ამ საღამომ ერთობ მშვენიერათ ჩაიარა და ყველა წამკითხველები მშვენიერად კითხულობდენ.

* * *

შრომისთვის ვარ გაჩენილი,
მისთვის მიუვარს მთა და ველი!
ჩემთვის იგი სამოთხეა
და საუნჯე სანატრელი!

—

როცა ჯერეთ განთიადის
ცისკარი, მინათებს გზასა:
მეც ნაგვალ გამზადებული
ვეშურები ყანის მკასა.

—

რაკი კარგათ დავიღლები
და საკმოთ გავსეზრი ყანას,
მაშინ მეც გასარებული
ბაგეურებ, მშრომელ ქვეყანას.

—

ბისარიან! რომ მინდორსა,
ჩემებრ დაჭღეულუნებს ერი,
ოფლით მორწყულ დედამიწას
ჩვენთვის მოაქვს ყველაფერი!

ველის-ციხელი.

სხვათა შორის

(შორაპნის მაზრიდამ)

ეს არის მოგეშორეთ ოვიდამ ანბზარი ზამთარი ოვისი განუშორებელის სუსსით, ეინგვით, თოგლით, ქარებით და გაზაფხული გვიდგება. მართალია, ის გაზაფხული, რომელიც ჩვენთვის სულითა და გულით სასურველია და რომელსაც ზეციური მანანასავით ველით, ჯერ ჩვენზედ იქნება შორს იეოს და ლოდინიც ჯერ-ჯერობით ლოდინად რჩებოდეს, მაგრამ ბუნების კანონი მაინც შეუჩერებლად სრულდება და აი კიდეც დავინახეთ: მწვანე მინდვრები, ახლად შემოსილი ტყეები, აღფაფაებული ხეხილები, გაზაფხულის წინა-მორბედი მერცხლები და ბეჭედები და ამისათვის ერთ-რიგად მოსარულნი ვართ... დიდ მარხვაც ხომ მოგეშორეთ ოვისი ლობოთ და ფხლით, მოგეშორდა მომავალ წელამდე. გაგვისსნილდა. ეს დრო ბევრ საარად სასიამოვნო და სიხარულით მისაგებებელი დრო ყველასთვის და განსაკუთრებით ჩვენი ‹მაზრის ბარიშნებისათვის“.

მე არ მოგასსენებთ ქალაქებში მცხოვრებთ ბარიშნებზედ, რომელნიც ამ დროს ბულვარებზედ, ტროტუარებზედ, ბაღებში და სხვაგან ატარებენ, მოგასსენებთ მხოლოდ ჩვენი ‹მაზრის ბარიშნებზედ›.

როგორც მოგესსენებათ, უმეტეს ნაწილად წელიწადში ორჯელ იმართება ხოლმე—თუ შაიძლება ასე გსოქვათ—ჩვენში იარმუკობა. რომლებზედაც, სხვა და სხვა მაშველების, ჩარჩების და მაშანგლების წყალობით სადღეობიან ხოლმე „მაზრის ბარიშნები“: ერთი—შემოდგომაზედ და მეორე—ესლა, გაზაფხულზედ; პირველი „იარმუკობა“ თვით ენკენისთვიდამ დაწყებული 14 ნოემბრამდე გრძელდება ხოლმე და სწორედ მოგასსენოთ—ბევრი კოშტი, ბევრი ბრუტიანი, ბრმა, ბნედიანი და სიმკელის გამო დაშმარებულ-დაობებული სადღეობა ხოლმე, მსყიდველთა საკალალოდ და თავ-სატესად... ესლანდელი „იარმუკობა“ წელს დაიწყობა 20 აპრილიდამ და პეტრე-პავლობის მარხვის პირველს დღემდე გასტანს... კაშრობა კვლავინდებურად, რასაკვირველია, არც წელს იქნება ურიგო და ბევრი დარბაისელი მშობლები მოიტილებენ თავიდამ მათს ‹გასასალებელს საქონელს› და ბევრი ასალგაზრდა კი ამ „საქონელს“ საშირ-ბორბოტად კისერზედ შაისვამენ... მაგრამ ამასთან ისიც უნდა მოგასსენოთ, რომ ამ უკანასკნელმა დრომ ბევრი უთანხმოება და უმეოფილება გამოიწვია „უკოლოთა“ და „გაუთხოვარი“ შორის. ამ უმეოფილების უმთავრეს მიზეზად მე პირადად „მოდას“, ამ დაწყეველილს და ამოსაფხვერ „მოდას“ ვსთვლი. წარმატება და ტულლუტობაც იქამდე წინ წავიდა, რომ ეს ჩვენი „ქალბატონები“ თავის „ქალურს“ რო ადარ დასჯერდენ,—კაცებსაც კი ბევრ რამეებში ტილობა დაუწეეს; აი, თუ გინდ, ავიღოთ ქუდი, რომელიც ამ ნეტარ დროში როგორც მამა-კაცს, ლეკურთან, სანჯალთან და დამბაჩასთან ერთად, ამშვენებს—ლეჩაქის მაგვრობასაც ჩადის და გატესილი მოგასსენოთ—ისეც უნდებათ, როგორც ერთს სულიერს უნაგირი (უკაცრავად ამ უკანასკნელის თქმისათვის, მაგრამ რა გაეწყობა, მე რაც მართალია იმას ვამბობ). ემაწვილ-კაცობამ ეს ტილობა, რასაკვირველია, შენიშნა და როდესაც გაიგო, რომ „მანდილოსანნი“ მანდილოსნობას ადარ სჯერდებიან და „ქუდოსნობაც“ მოინდომეს,—ცოტა მათზედ გული გაიტესა და წარბის აწევით დაუწო ცქერა.

ამაზედ დიდი რჩევაც ეოფილიეო, როგორც მითხრეს... შაეყარათ ერთად თავი მაზრის „დარბაისლებს“, ერჩიათ, ესაჯათ ეს საქმე, მაგრამ ვერას გამხდარიყენენ... ერთს, უფრო ბრძენს და აქა-იქ ნამყოფს, კრებაზედ წინადადება შაეტანა და მოეხსენებინა, რომ ‹ვინაიდგან ჩვენი „მაზრის ბარიშნები“ „ქუდოსნებაჯ“ გაჩდაიქცნენ და ჩვენც თავიდამ ქუდი მოგვსადეს,—მოდი, ჩვენც ლეჩაქები დავიხუროთ და ამით მათ გული ვატკინოთო.“ ამის მოსსენების დროს კრებას ბევრიც ეტინა და, რასაკვირველია, არც ეს წინადადება მიეღო, როგორც ეოველივე მოსაზრებას მოკლებული და ისევ დაედგინა რომ ‹ძალად ქუდოსნებთ› თვითონვე ვაგრძნობინოთ მათი მე-

ტიჩრობა და ცილება და გასათოსოვრად გამზადებულთ სელი შეუშალოთ და ამით ჭკვას ისწავლიანო»...

ამ გარდაწყვეტილების თანასმად ჯერ შეჩერებულნი არიან და—თუ მართალს ვიტყვით,—ისიც უნდა ვსთქვათ, რომ უშეტესობა ჩვენი «მაზრის ბარიშნებისა» ჯერ-ჯერობით შტატ გარედ დარჩენ. ამ, გარემოების გამო, შტატ გარედ დარჩენა რომ არავისთვის შესამჩნევი არ ეოთვილიეო,—«დარჩენილებმა» ბევრი ხერხი ისმარეს და სხვათა შორის უკითხავადაც იმას გაიმახდნენ, რომ „უსწავლელს, გაუნათლებელს და უმამულოს არ წავეკვეთით არავერ შემთხვევაშიო“ და ამით ინუგეშებდნენ და დღესაც ინუგეშებენ თავს, თუმცა თავიანთ მდგომარეობას ჩვენზედ უფრო კარგად სცნობენ...

ვის ეამსიან ჩვენს მაზრაში „ნასწავლს, განათლებულს და მამულიანს“ და როგორ შემოხვევა ქონდა ამ უკანასკნელს დროს აქ ადგილი ამას შემდეგში მოგწერთ.

ამ გაზაფხულთან ერთად ერთ-გვარი სეზონიც გაისნება; სეზონი: ნათლობების, წვეულების, ქორწილების და სხვათა, რომელთა შედეგი ჩვენს მაზრაში ხეხვა, ცემა, კვლა და სხვა ამ გვარი რამეები იქმნებიან. ასე რომ ამ სეზონში შემთხვევა ხშირად გვექმნება ხოლმე დავესწროთ ამ გვარს სტენებს: რომელსამე ტერეზიას, ან ნინას, და ან ეფროსიმეს ქმარზედ გამარჯვებულნი ჩვენი „წვეროსნები“ დაჭრილის კარებზედ ჩავლის დროს ხშირ-ხშირ დაამღერებენ:

ტერეზია ქალო!
ესლა ვისი ხარო! და ხხ.

Z.

ეპისტოლე

ბატონო ხონელო!

ჩვენც მივიღეთ ერთი ლექსი თრიად პატივცემული პირისაგან და წარჩინებული მწერლისგან. ამ პატივცემულმა პირმა, რადგანაც ჩვენი სიმართლე დაინახა, დასმარება ამოგვიჩინა—და გულითად მადლობას ვუძღვნით, თუმცა, დიაკვნებო, თქვენ არა ღირხართ იმათ, რომ ამდენი კაცი თქვენს წინააღმდეგ ადიჭურვოს: „ჩიტი გაბტკვნათ არა ღირდა, უკან დეენა მეტიაო!..“

ეს ლექსი, ჩვენის აზრით, ერთობ სელოვნურათ არის დაწერილი, მაგრამ ერთი ნაკლულევანება შევნიშნეთ: ნამეტანი დინჯი კიდოთია დაწერილი თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ის არის მიმართული მედვითნე დიაკვნისადმი. აი ეს ლექსიც:

იდეა ხონელს.

მოგეწერა, წაიკითხე
შენი წიგნი, ჩემი ქება.
შენ მომასწარ, თვარე მეცა
შენზე გული მეფხანება.
ჩანგი შოთას უსაკუთრეთ,
თუ იქნება თქვენი ნება;
სალალობოთ, სათრეველათ
ოარი სიტყვა მეცა მხვეება.

* * *

ნურვის სარკმელს ქვეშ ნუ დგახარ,
დამიჯერე, არ გეწყინოს,
არ იფიქრო, განდეგილის
მზისა სხივი მოგეფინოს.
ქბილ-ჩაცვენილ რითმაობამ
ვათუ ვერვის ვერ უკბინოს,
მტერი შენი გააცინოს,
მოყვარე კი მოაწყინოს.

* * *

ჰე ხონელო! მომისმინე,
მსმენელი ხარ კაცი ვარგი.
ნათქვამია: «შაირობა
სიბრძნისაა ერთი დარგი».
არ გეგონოს, რომ ეს იყოს
ქათამ-კვერცხი, ხონელთ ბარგი!
ბევრი წერით რა გამოვა,
თუ ვერ გითქვამს რამე კარგი?!

* * *

ჩემსა მუზას რათ დასცინის
შენი მუზა ხელოვანი,—
ხელოვანი, მაგრამ ფრთებით
მციროვანი, ბუზოვანი?
ჩემი მუზა არის სწორი,
შენი მუზა კუზოვანი.
ბთხოვთ, ნუ გარევთ ერთმანერთსა!
თქვენი მონა სილოვანი.

***

ქ. ქუთაისი.
5 აპრილს.

იდეა ხონელს.

ჰე ხონელო! რადგან მიწვევ,
ბამოვდიევარ, გამიჩერდი!

აბა ენახოთ, თუ გიყარგათ
დიაკენებსა მკლავი, მკერდი.
თუ გინდა თვით პატრიარხით
გაიმაგროთ კარგათ გვერდი,
მე მაინც თქვენს ალაყერდზე
ასჯერ გეტყვით: „ახშიყერდი“!

***

დიაკენებო! ღმერთმან იცის,
თქვენ არ გაგდებთ არცა ჩირათ,
მაგრამ იგი, ის ბელადი,
ბურთს რომა ჰგავს ტანათ-პირათ,
იგი გვიწვევს, გვაიძულებს...
ვაფასებდით ჩვენ მას ძვირათ,
და აწ რადგან გადიაკენდა,
აღარა გვშურს გასაგმირათ.

***

შენ, ხონელო, ჩემი სიტყვა
გულში მოგხვდა, გაგამწარე.
ჰე, გამოდი: დიაკონთა
მთელი დასი მოიხმარე.
დიდებული ის პოეტიც
იშიმშერე და იფარე,
და თუ მაინც ვერ მაჯობო,
ორივ თვალი მოითხარე.

სიღოგანი.

შეშლილი სიყვარულისაგან *)

დრამა 5 მოქმედ. თხზ. დონ-მანუელ ტამაისი და ბაუსისა

სცენა VIII

დედოფალი, დონა ელვირა, ცოტა ხანს უკან გერნარი და მერე პაჟი.

დედოფალი. აქ მოდი აქ, ელვირა, და დაკოცნე შენი დედოფალი. დამაცქერდი ელვირა. ეხლა მე სუ მთლად გამოვიცვალე. ბანა ჩემი თვალები, ჩემი ხმა არ მოწმობენ რომ მე ფილიპეს უყვარვარ? როგორც გითხარი: კაპიტანი განდევნილია აქედგან ჩემი გულისათვის, საწყალი კაპიტანი! იგი ღირსია ჯილდოსი. დიდებულო ღმერთო! მე რამდენჯერა გთხოვე სიკვდილი. ტყუილად ვიჭვნეულობდი შენს სამართალში! ჰო, ელვირა, იგი გახელდა, იგი ეჭვიანობს, ეჭვიანობს ჩემზე. ჰხედავ რა ბედნიერი ვარ?

ელვირა. ეხლა ხომ არაფრისა ღა გეშინიანთ?

დედოფალი. არაფრისა.

ელვირა. ბერნარი დაბრუნდა და ეხლა აქ იცდის.

დედოფალი სულ ტყუილად გავგზავნე იგი.

ელვირა. მეტყვი რომ წავიდეს...

გერნარი. (შემოდის) ნება მიბოძეთ, დედოფალო...

დედოფალი. მოდი. იყავი ხომ სასტუმროში, სადაც გაგზავნე. ის ქალი ნახე... ძარგი, მე ყველაფერი შეტყობილი მაქვს. ბასამრჯელოს მიიღებ... წადი.

გერნარი. დედაკაცი, რომელზედაც თქვენ დიდებულება მელაპარაკება, დიდებული ჩამამავლობისა ყოფილა. იგი სასტუმროში აღარა სცხოვრობს.

დედოფალი. იგი დიდებული ჩამამავლობისა არისო? ის იქ აღარა ცხოვრებს ა? მაშ სად წასულა? მიამბე ყველაფერი.

გერნარი. თქვენგან გატანებული ოქროს წყალობით მე შევიტყე, რომ იგი ბურგოსში წაუყვანიათ.

დედოფალი. (გააწყვეტინებს) აქ წამოუყვანიათ?

გერნარი. იმას დაუწერია წიგნი და ჩუმათ მეფესთვის გაუგზავნიათ.

დედოფალი. მეფესთვის წიგნი მოუწერია. გესმის, ელვირა.

ელვირა. მე მიზეზს ვერა ვხედავ...

დედოფალი. ეტყობა რომ მე ვერც ერთს დღეს ვერ მოვისვენებ. (ელვირას გაიყვანს განზე და ეუბნება) ალდარა ბურგოსში! წიგნიც მოუწერია მეფისთვის! ნეტა შეინახავდა თუ არა ფილიპე იმ წიგნს? მაგრამ მაგას უყვარს ამ გვარი ნივთების შენახვა. იგი ერთს უჯრაში ინახავს. მე ვიცი იმ უჯრის გაღება. აბა დროს ნუ დავკარგავთ...

პაჟი. (გამოჩნდება კარებში, რომელიც სცენის სიღრმეშია) ადმირალი და სხვა დარბაისელნი ნახვასა ნდომულობენ.

დედოფალი. ეხლა არ შემიძლიან... მერე მნახონ... ცოტა ხნის შემდეგ (პაჟი გადის) ვცდი... ამითი მე რა დამიშავდება? (მიდის მეფის ოთახში)

ელვირა. რას სჩადით, დედოფალო!

დედოფალი. შენ გინდა მე აქ დაერჩე, არაფერს ყურადღება არ მივაქცია, თუმცა კი იცი რომ... გარეგნობა ხან-და-ხან ატყუებს კაცს, შეიძლება მე აქ

*) იხილე „თეატრი“ № 15.

ვერაფერი ვიპოვნო რა... და თუ ვიპოვნე... თუ ვიპოვნე! (შევა მეფის ოთახში)

სცენა IX

დონა ელვირა და გერნარი.

ელვირა. ყველაფერი მართალია რაც დედოფალს უამბე?

გერნარი. მე რაც გავიგონე ის უამბე. საწყალი დედოფალი. ალა კი მიხვედრილი ვარ იმ დედაკაცის წასვლას რათ აძლევს იგი ასეთ მნიშვნელობას.

ელვირა. გაჩუმდი თუ მიხვედრილი ხარ.

გერნარი თქვენ ნუ გეშინიანთ, მე ფრთხილად ვიქნები.

ელვირა. იცი ხომ—რომ ეს ამბავი დიდ უბედურებას მოასწავებს?

გერნარი. ენდევით ჩემს ერთგულობას, ელვირა.

ელვირა. ვიცი—რომ დედოფლის ერთგული ხართ.

გერნარი. დიახ, მე მიყვარს იგი და პატივსაცა ესცემ. იგი ზეცით მოვლენილი ანგელოზი მგონია. სასახლეში კი გაიძახიან: დედოფალი ჭკუაზე შეიშალაო.

ელვირა. გაჩუმდი. ეს იმას არ გააგონო, თორემ მოკვდება იგი.

გერნარი. ურიგო ხომ არ იქნება სუყველა ეს დონ ფილიპეს უთხრა?

ელვირა. ბადი აქედგან.

გერნარი. (მეფის ოთახისკენ მიიხედავს) დედოფალი აქ მობძანდება.

ელვირა. წადი აქედგან. (გერნარი გადის იმ კარებში, რომელიც სცენის სიღრმეშია).

სცენა X

დედოფალი და დონა ელვირა.

დედოფალი. მართალი გამოდგა. აი, იმ დედაკაცის წერილი! მე მაშინვე ვიპოვნე.

ელვირა. შესაძლებელი არ არის.

დედოფალი. წაკითხვა მინდოდა, მაგრამ სულ ამაოდ ვაცქერდებოდი ნაწერს. მე ვერაფერი წავიკითხე-რა.

ელვირა. ნურც წაიკითხავთ.

დედოფალი. ნუ წავიკითხავ? ღმერთო ჩემო! გეტყობა რომ შენ თავისდღეში არა გყვარებია! შენ თავის დღეში ეჭვიანობა არ გამოგიცდია, შენ არა გაქვს გული! ნუ წავიკითხავ? შენ, მგონი, რომ ხუმრობ. აჰა დამიჯერებია შენი სიტყვა. (კითხულობს) „მეფეე, როდესაც მე გთხოვეთ, თქვენ დამპირდით სეფექალობას სასახლეში. იმან, რომელიც ოინობისთვის დადიოდა ხოლმე სასტუმროში, დეე აქედგან სასახლეში გადამიყვანოს. მანდილოსანი სასტუმროდგან“. მეფესაც უპასუხნია, ეს ქალიც აქ იმყოფება, აქ, სასახლეში, ჩემს ახლო! არა მე ეს არა მჯერა!

ელვირა. დამშვიდდით, დედოფალო...

დედოფალი. მგონი შენ ამის მეტს ვერაფერს მაახერხებ სათქმელად? განა არ გაიგონე რომ ის აქ არის? როდესაც მე მეფის სურვილს ვეწინააღმდეგე, ამან ჩემის ჯიბრით, მოიყვანა იგი აქ, ჩემს საკუთარ სახლში... იქნება დაავიწყდა ამ კაცს—რომ მე დედოფალი ვარ, ჩემს განრისხებას იგი ვერსად გეექცევა. მე მეგონა ფილიპეს უყვარვარ მეთქი, მეგონა რომ იგი ეჭვიანობდა! შეყვარებული ცოლისთანა უბრალო რაღა იქნება! ორიენემ როგორ მასხარად ამიგდეს! მე გადუხდი ამათ. რაღას ვიგვიანებ?.. შურის ძიება უნდა შეურაცხობას უდრიდეს! წადი, დაუძახე მეფეს. (შეაყენებს) არა, მოიცადე, ჯერ გული დავიმშვიდო. არა, წადი, წადი! რომ დავიმშვიდდე, სიბრაზე გადამივლის. ოჰ, უძლურო გულო, რატომ არ შეგიძლიან გონებას შეეკითხო?.. ახლა დამშვიდებული ვარ... რა გითხარ, შენ?

ელვირა. (თავისთვის) ესენი ამას მარტო ჭკუას კი არა, სიცოცხლესაც წაართმევენ!

დედოფალი. ყოველ უწინარეს... ახ!.. (თითქო რაღაც მოაგონდა) ჰო, მეფის შეყვარებული იმ მანდილოსნებში უნდა ერიოს, რომელნიც ბურგოსში მოვიდნენ სამსახურისთვის. ეს წერილი სიმართლეს მეტყვის: სუყველა მათგანს დავაწერინებ ორიოდ სიტყვას; მერე შევადარებ ნაწერებს... ჰეუროობ, ელვირა, მოსაზრება კიდევ შემძლებია, წადი უთხარი ყველას, ამ საათშა აქ დაიბადონ... (კიდევ შეაყენებს) ერთი შენა თქვი... ბანა დამნაშაობა არ არის—რასაც ის დედაკაცი მიშერება?.. და დანაშაულობისთვსს სასჯელია კანონში დანიშნული. მართალი არ არის? ბანა მე დედოფალი არა ვარ? ნუთუ ტყუილად ებრძანებლობ ამდენ სახემწიფოებზე და თითქმის დედამიწის მთელ ნაწილებზე? ამათ კი მასხარად აიგდეს პატიოსანი და მოყვარული დედაკაცი. გეფიცები ღმერთს!.. ვნახოთ ესენი როგორ-ღა დასცინებენ ჩემს შურისძიებას! (ელვირას, რომელსაც რიღასიც თქმა უნდა) რა გინდა მითხრა? შენ კიდევ სისულელეს მეტყვი. ბაჩუმდი, მე შენ ყურს არ დაგიგდებ. წადი დაუძახე

აქ ყველა მანდილოსანს... ვაი შენ — თუ კრინტს დასძრავ სადმე! (დაინახავს ადმირალს და გრანდებს კარებში, რომელიც სცენის სიღრმეშია) ვინ მოვიდა? ვინ არიან ეგენი?

ელვირა. გრანდები. მსენი თქვენთან მოსულან სალაპარაკოდ.

დედოფალი. ჰო, ვიცი, ეხლა მამაგონდა (ლაპარაკის კილოს იცვლის) მობძანდით, ბატონებო, მობძანდით, მე მოხარული ვარ თქვენი ნახვით.

ს. ნ—თ— ძესი

(შემდეგი იქნება)

წინა გამოცანების ახსნა.

1) ღმერთი. 2) ბზა.

რედაქტორი და გამომცემელი ვ. ალბაშიძე.

განცხადებანი

სტამბა

მელიქიშვილისა.

თფილისში—სასახლის ქუჩ., არწრუნისეულ ქარვასლაში, ქართული თეატრის ქვემო სართულში.

იღებს ყოველ გვარს სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს, კვიტანციებს, სიოტებს, განცხადებებს, ალბომებს, ბირობებს და სხვ.

სასუფთავეზე და ადნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა ბირობას აძლევს საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომტანნი ისურვებენ.

„თამარ ცბიერი“

ისტორიული დრამატიული პოემა აკაკისა,

ისყიდება მოზრაჯის ბიბლიოთეკაში, გოლოვინის პროსპექტზე, მუსრან-ბატონის სახლში და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ფასი ათი შაური.

(10—2)

სურათები

ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა

აკაკი წერეთელი — ილია ჭავჭავაძე

გრ. ორბელიანი



ალექს. ყაზბეგი — სერგეი მესხი

გიორგი ერისთავი

ჩინებულ ალექსანდროვის ქალაქზედ
მსტეფრობა ა. ბერიძისა

ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ტუკიის ხიდის ყურზე, ზუბალოვის სახლებში და ი. სოფარეოვის ბაკალეინი მაღაზიაში, არწრუნისეულ ქარვასლაში.

ვინც ათს ან მეტს სურათს გამოიწერს, მაშინ თითო სურათი 16 კაპ. დაეთმობა.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 19 апрѣля

Типографія Меликова. სტამ. მელიქიშვილისა.